UNITED STATES AND GEORGIA
CELEBRATING THIRTY YEARS OF PARTNERSHIP

GCSD

დემოკრატიული მედეგობის გაკვეთილები:

ნატოსა და ევროკავშირის მიდგომები დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ

დემოკრატიული მედეგობის გაკვეთილები:

ნატოსა და ევროკავშირის მიდგომები დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ

ავტორი: მარიამ გუგულაშვილი

თბილისი, 2023

შესავალი

კვლევის წინაპირობა და აქტუალობა

ჰიბრიდული/არაკონვენციური საფრთხეები, როგორებიცაა: დეზინფორმაცია და პროპაგანდა, დასავლური დემოკრატიული აქტორების უსაფრთხოებისა და პოლიტიკური დღის წესრიგისთვის განსაკუთრებით აქტუალური 2014 წელს, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიის დაწყების შემდეგ გახდა. ეს მოვლენა, ნატოსა და ევროკავშირისთვის საინფორმაციო გამოწვევებზე რეაგირების კუთხით, ძლიერ იმპულსს წარმოადგენდა ვინაიდან ჰიბრიდული საფრთხეების მასშტაბი, ეფექტი, დინამიკა და ხარისხი უპრეცედენტო იყო. მიუხედავად იმისა, რომ ომების ისტორიისთვის ჰიბრიდული საფრთხეების მეთოდები ახალი არ არის, ტექნოლოგიურმა განვითარებამ და გლობალიზაციამ ამ გამოწვევებს ახალი, უფრო კომპლექსური განზომილება შესძინა.

დღესდღეობით, ევროპული და ევროატლანტიკური სივრცისთვის დეზინფორმაცია და პროპაგანდა გახდა სინონიმი რუსეთის მცდელობების, დააზიანოს დემოკრატიული პროცესები, სისტემები, ინსტიტუტები და მისი (გეო)პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით გავლენა მოახდინოს საჯარო დისკურსზე. ამ მხრივ, რუსეთი ერთადერთი მოთამაშე არ არის და დასავლურ სივრცეში უკვე სხვა არადემოკრატიული სახელმწიფო თუ არასახელმწიფო აქტორებიც, პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, მზარდად მიმართავენ ჰიბრიდულ მეთოდებს. შესაბამისად, დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან ბრძოლა ნატოსა და ევროკავშირისთვის ერთგვარ „ტესტს“ წარმოადგენს. მაშინ, როდესაც აღნიშნული საფრთხეები სახელმწიფოთა საზღვრების ჩარჩოებში არ არის მოქცეული, მოკავშირე აქტორების, ამ შემთხვევაში ნატოსა და ევროკავშირის თანამშრომლობა და ძალების გაერთიანება კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ამ კუთხით, ალიანსმა და ბლოკმა, ისევე, როგორც მათმა ცალკეულმა წევრმა სახელმწიფოებმა ბოლო დეკადის განმავლობაში არაერთი ქმედითი ნაბიჯი გადადგეს. ამის მიუხედავად, ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში, მიკრო თუ მაკრო დონეზე, დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან ბრძოლის კუთხით, ჯერ კიდევ არაერთი გამოწვევა და დამატებითი საჭიროება არსებობს. შესაბამისად, ჰიბრიდული საფრთხეების მუდმივად განვითარებადი ბუნებიდან და ზიანის სერიოზულობიდან გამომდინარე, არსებითია, რომ დემოკრატიულმა ძალებმა ეროვნულ და ორგანიზაციულ (ისევე, როგორც სამხედრო და სამოქალაქო) დონეზე ძალისხმევა კიდევ უფრო გააძლიერონ და ერთიან საზოგადოებრივ მოდელზე (Whole-of-Society) დაფუძნებული, უფრო ეფექტიანი ჩართულობის 360 გრადუსიანი მიდგომა გააქტიურონ. განსაკუთრებით კი იმის ფონზე, რომ დღეს არსებულ არასტაბილურ გეოპოლიტიკურ კონტექსტში „ლაიქების ომი“ (War of Likes) და კონკურენცია ადამიანის „გულისა და გონების მოსაგებად“ უფრო ინტენსიური და ფართო გახდა.

კვლევის მიზნები

ნაშრომის მიზნებია (I) შეისწავლოს და გაანალიზოს ნატოსა და ევროკავშირის ძირითადი მიდგომები დეზინფორმაციის და პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლაში, (II) შეაფასოს ნატოსა და ევროკავშირს შორის ორმხრივი თანამშრომლობის მასშტაბი ზემოაღნიშნულ ჰიბრიდულ საფრთხეებთან მიმართებაში, (III) იდენტიფიცირება მოახდინოს წარმოდგენილი ორგანიზაციების გამოცდილებიდან მიღებული გაკვეთილების და (IV) გამოკვეთოს მათ მიდგომებს შორის არსებული განსხვავებები და მსგავსებები. შესაბამისად, ნაშრომის საკვლევი კითხვები ზემოაღნიშნული მიზნებიდან გამომდინარეობს.

კვლევის მეთოდოლოგია

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ნაშრომი წარმოადგენს თვისებრივ კვლევას, რომელიც დაფუძნებულია პირველადი (ნატოსა და ევროკავშირის ოფიციალური და სტრატეგიული დოკუმენტები, პოლიტიკური განცხადებები) და მეორადი (ანალიტიკური სტატიები, აკადემიური ნაშრომები, წიგნები, პოლიტიკის დოკუმენტები, ახალი ამბები) წყაროების შესწავლისა და ანალიზის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. ამის გარდა, ნაშრომში გამოყენებულია ნატოს, ევროკავშირის ინსტიტუტებისა და კვლევითი ორგანიზაციების ანგარიშები, რომლებიც წარმოადგენენ პირველადი და მეორადი წყაროების სინთეზურ დოკუმენტებს. კვლევა წარმოდგენილია შედარებითი ანალიზის სახით, რომელიც გამოკვეთავს ნატოსა და ევროკავშირის მიდგომებს შორის არსებულ მსგავსებებსა და განსხვავებებს.

კვლევის შეზღუდვები

წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში არსებობს რამდენიმე გასათვალისწინებელი შეზღუდვა. პირველი მათგანი ანალიზის მასშტაბს უკავშირდება. დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი ფართო და დინამიკური ფენომენია. შესაბამისად, თემის კომპლექსურობისა და ნაშრომის ტექნიკური ჩარჩოს (Word Limit) გათვალისწინებით, აღნიშნული კვლევა ევროკავშირის და ნატოს სტრატეგიებისა და თანამშრომლობის ყველა ასპექტის ამომწურავ და ღრმა ანალიზს არ წარმოადგენს. ამის ნაცვლად, ნაშრომი ფოკუსირებულია მათი მიდგომების ძირითად ელემენტებზე. პარალელურად, მნიშვნელოვანია მოხდეს კონტექსტური განსხვავებების გათვალისწინებაც. ევროკავშირი და ნატო მოქმედებენ განსხვავებულ ორგანიზაციულ კონტექსტში, განსხვავებული პრიორიტეტებითა და სამოქმედო გეგმებით. შესაბამისად, მათი მიდგომებისა და საუკეთესო

გამოცდილების პირდაპირმა გადატანამ რომელიმე ქვეყნისა თუ რეგიონის კონტექსტში თანაბრად წარმატებულად შეიძლება არ იმუშაოს. ამ მხრივ, არსებითად მნიშვნელოვანია ისეთი ცვლადების გათვალისწინება, როგორებიც არის გეოპოლიტიკური კონტექსტი, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური მახასიათებლები, ფინანსური და ადამიანური რესურსების დონე. თუმცა, არსებობს უნივერსალური მიდგომები, რომლის საბაზისო დონეზე გათვალისწინებაც დადებითი შედეგის გამომწვევია (ჰოლისტური მიდგომის არსებობა, ძლიერი სტრატეგიული კომუნიკაციები, კრიტიკული აზროვნებისა და მედიაწიგნიერების განვითარება).

თავი 1. ევროკავშირის მიდგომები დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან საბრძოლველად

„ტყუილი პრობლემაა, მაგრამ ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, რომ ჩვენ გვჯერა ტყუილების“.

ვერა იუროვა,
ევროპის კომისიის ვიცე-პრეზიდენტი
(European Commission, 2020)

2014 წლიდან, აღმოსავლეთ ევროპაში ინფორმაციული მანიპულაციების მკვეთრად ზრდამ, დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან საბრძოლველად ევროკავშირის ინსტიტუტებს ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ უბიძგა (Sanchez, 2021). თითქმის ერთი დეკადის განმავლობაში, ბლოკმა საინფორმაციო გამოწვევების გასანეიტრალებლად არაერთ სტრატეგიას და ინიციატივას მიმართა და 2014 წლიდან დღემდე, ჰიბრიდული საფრთხეების საპასუხოდ 30-მდე სხვადასხვა დოკუმენტი მიიღო, რომელიც არამხოლოდ წევრ სახელმწიფოებს, არამედ პარტნიორი ქვეყნების კონტექსტსაც ეხმიანება. გატარებული ღონისძიებების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ევროკავშირის მიდგომების დაყოფა არასაკანონმდებლო და საკანონმდებლო კატეგორიებად არის შესაძლებელი. ამ მხრივ, პირველი არსებითი ნაბიჯი, 2015 წელს, საგარეო ქმედებათა სამსახურის მიერ შემუშავებული „სტრატეგიული კომუნიკაციის სამოქმედო გეგმა“ (European Council, 2015) და ევროპის კომისიის ბაზაზე ჩამოყალიბებული სტრატეგიული კომუნიკაციების განყოფილება იყო, რომელიც East StratCom სამუშაო ჯგუფს მოიცავდა (EEAS, 2015). ამ ძალისხმევის მთავარი მიზანი, საკომუნიკაციო არხებისა და საჯარო დიპლომატიის პოლიტიკის გამოყენებით (Pamment, 2020), რუსეთის მთავრობისა და მედია წყაროების მიერ ევროპის წინააღმდეგ მიმართულ დეზინფორმაციასთან ბრძოლა (Parkes, 2019) და ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში ბლოკის იმიჯის დაცვა იყო (Jeangène Vilmer et al., 2018). სამუშაო ჯგუფის მთავარი პროექტია EUvsDisinfo, რომელიც დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან დაკავშირებული კვლევებით,

სტატიებითა და სტატისტიკური მონაცემებით მდიდარი ღია ბაზაა (Serrato & Jacob, 2020). ჰიბრიდული საფრთხეების მასშტაბის ზრდასთან ერთად, ევროკავშირმა გეოგრაფიული დაფარვა გაზარდა და დღესდღეობით, სტრატეგიული კომუნიკაციების სამუშაო ჯგუფები დასავლეთ ბალკანეთის რეგიონს (Western Balkans Task Force) და ბლოკის სამხრეთ სამეზობლოს (Task Force South), კერძოდ, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებსაც მოიცავს. აღსანიშნავია, რომ ევროპის პარლამენტი ბოლო რამდენიმე წელია, რაც მსგავსი ჯგუფის შექმნას ჩინეთის (Far-East Task Force) მიმართებაშიც ითხოვს (EU Monitor, 2021), თუმცა, ჯერ-ჯერობით უშედეგოდ. ევროპის პოლიტიკურ თუ ექსპერტულ წრეებში სტრატეგიული კომუნიკაციების განყოფილების მიმართ კრიტიკა ხშირია მასში ჩართული არასაკმარისი ადამიანური რესურსისა და ფინანსების გამო. მაგალითისთვის, ზემოაღნიშნულ განყოფილებაში, რომელიც, მათ შორის, ჩამოთვლილ სამუშაო ჯგუფებს აერთიანებს, მხოლოდ 40-50 სპეციალისტია დასაქმებული (New Eastern Europe, 2023). ჰიბრიდული საფრთხეების მზარდი მასშტაბისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით, ადვილია იმის დასკვნა, რომ ამ მხრივ ბლოკის ძალისხმევა ცალსახად გასაძლიერებელია.

პრობლემას რომ უმკურნალო, პირველ ყოვლისა, დიაგნოზი უნდა დაისვას, გამომწვევი მიზეზები დასახელდეს და მკურნალობის მეთოდები განისაზღვროს. გამონაკლისი არც ის პრობლემაა, რომელიც ევროკავშირს დეზინფორმაციისა და პროპაგანდის სახით აქვს. შესაბამისად, 2018 წელს ორგანიზაციის ეგიდით გამოქვეყნდა ევროკავშირის პირველი „სამოქმედო გეგმა დეზინფორმაციის წინააღმდეგ“, რომელიც დღემდე ბლოკის პოლიტიკის მთავარ ქვაკუთხედს წარმოადგენს. ყოვლისმომცველი სტრატეგია მნიშვნელოვან პოზიტიურ ნაბიჯად ითვლება და ოთხ თემატურ მიმართულებას მოიცავს: (I) ევროკავშირის ინსტიტუტების შესაძლებლობების გაუმჯობესება, (II) ერთობლივი კოორდინაციის გაძლიერება, (III) კერძო სექტორის მობილიზაცია და (IV) საზოგადოების ცნობიერების ამაღლება (EEAS, 2018). თითოეული მათგანი კონკრეტულ ზომებს მოიცავს და მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რამდენიმე მათგანზე მოკლე აქცენტი გაკეთდეს. ამ მხრივ, უპრეცედენტო ელემენტია „დეზინფორმაციული პრაქტიკის კოდექსი“ (Code of Practice on Disinformation), რეგულირების ნებაყოფლობითი ჩარჩო, რომელიც მიზნად ისახავს ონლაინ სივრცეში დეზინფორმაციის გავრცელების შესუსტებას და მისი ხელმომწერები ისეთი წამყვანი ტექნოლოგიური კომპანიები არიან, როგორებიცაა: Facebook, Google, Microsoft, Twitter, Mozilla Firefox და TikTok (Szymański 2020; Stolton, 2020; European Commission, 2022). ევროკავშირის დამატებითი ნაბიჯი იყო ონლაინ პლატფორმებისთვის საკანონმდებლო ხასიათის „ციფრული სერვისების აქტის“ (Digital Services Act) ინიცირება. ამის გარდა, მედიაწიგნიერებისა და კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობა ბლოკის საკვანძო ელემენტებია და „ევროპული ციფრული მედიის ობსერვატორიის“ (European Digital Media Observatory) ჩამოყალიბება სამოქალაქო საზოგადოებისა და კვლევითი ორგანიზაციების გაძლიერების მეშვეობით, სწორედ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას, საფრთხეების პროგნოზირებას და ინფორმირებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას უწყობს ხელს (Bleyer-Simon et al., 2020). დამატებითი პოზიტიური ნაბიჯები იყო „ევროპული დემოკრატიის სამოქმედო გეგმისა“

(European Democracy Action Plan) და „დემოკრატიის დაცვის პაკეტის“ (Defence Democracy Package) ინიცირება (EUR-Lex, 2020), რომლებიც მთავარ თემატურ აქცენტებს მედიის თავისუფლების გაძლიერებასა და თავისუფალი არჩევნების ხელშეწყობაზე აკეთებს და მათ შორის, პოლიტიკური რეკლამის გამჭვირვალობისა და პარტიების დაფინანსების წყაროებთან დაკავშირებულ ზომებსაც მოიცავს (European Court of Auditors, 2020; Bogden, 2023). დამატებითი მექანიზმებია დეზინფორმაციული კამპანიების ადრეული გამოვლენის, ინფორმაციის გაზიარებისა და კოორდინირებული რეაგირების მიზნით ჩამოყალიბებული „სწრაფი გაფრთხილების სისტემა“ (Rapid Alert System) და „ევროკავშირის ჰიბრიდული საფრთხეების ერთიანი უჯრედი“ (EU Hybrid Fusion Cell) (Stolton, 2020; Kert-Saint Aubyn, n.d). აქვე საგულისხმოა ის, რომ გამოხატვის თავისუფლებასა და ინიცირებულ ნაბიჯებს შორის დელიკატური ბალანსის დაცვა ბლოკისთვის არსებითია (Colomina, 2019).

ამის გარდა, აღსანიშნავია, რომ ევროპის პოლიტიკური წრეების მხრიდან ხშირად ხდება მოწოდება, რომ როგორც ევროკავშირმა, ისე წევრმა ქვეყნებმა საინფორმაციო ომისა და რბილი ძალის ერაში სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების მიმართ ანტი-ევროპული ნარატივის გავრცელებისთვის „სასჯელის“, იგივე სანქცირების მექანიზმი გამოიყენონ. საგულისხმოა, რომ ამის პრეცედენტი არსებობს, როდესაც 2022 წელს უკრაინაზე რუსეთის თავდასხმამ დეზინფორმაციის ახალი ტალღა გამოიწვია და შედეგად, ოფიციალურმა ბრიუსელმა რუსული მედია სააგენტოები „Russia Today“ და „Sputnik“ დაბლოკა (European Council, 2022).

გარდა ევროპის კომისიის ზემოჩამოთვლილი ინიციატივებისა, ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლაში ევროპის პარლამენტს კრიტიკულად მნიშვნელოვანი როლი აქვს. ამ მხრივ, საგულისხმოა 2020 წლიდან დროებითი სპეციალური კომიტეტების შექმნა (INGE, INGE2). თუმცა, მანდატი მიმდინარე წლის აგვისტოში ამოიწურა და ბუნდოვანია შესრულდება თუ არა პარლამენტის მოთხოვნა მუდმივმოქმედი ორგანოს ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. ასევე, გაურკვეველია ის თუ რატომ არ ხდება ბლოკის ზემოაღნიშნული დეზინფორმაციის წინააღმდეგ არსებული სამოქმედო გეგმის განახლება, რომელიც ხუთი წლის წინ შემუშავდა, მაშინ როდესაც ჰიბრიდული საფრთხეები მუდმივად ვითარდება, იცვლება და მეტად საფრთხისშემცველი ხდება.

პროგრამის დიაგნოზის ჭრილს რომ დავუბრუნდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთი ევროპული დემოკრატიის დამაზიანებელი დომინანტური საგარეო აქტორი და ჰიბრიდული საფრთხეების ყველაზე მოქნილი ავტორია (Wiseman, 2022). აკადემიურ და ექსპერტულ წრეებში უკვე დიდი ხანია არსებობს მოსაზრება, რომ წლების განმავლობაში რუსეთის მიმართ ევროკავშირის რბილი პოლიტიკა ბლოკის შეცდომა იყო. თუმცა, განსხვავებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლამდე თუ ორგანიზაცია თავის ოფიციალურ დოკუმენტებში რუსეთს „სტრატეგიულ პარტნიორად“ მოიაზრებდა, დღეს ოფიციალური მოსკოვი „სტრატეგიულ გამოწვევად“ მიიჩნევა (Colomina, 2019). დღესდღეობით, ევროკავშირის ინსტიტუტებისა და მაღალი რანგის ოფიციალური პირების

საგარეო პოლიტიკურ რიტორიკას რომ გადავხედოთ, რუსეთთან მიმართებაში ბლოკის გულუბრყვილობის დონე მკვეთრად არის შემცირებული. აქვე საგულისხმოა, რომ როდესაც საქმე დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გავრცელებას ეხება, მოსკოვი ევროკავშირის ერთადერთი პრობლემა არ არის. ამ მხრივ, ევროპულ (და არამარტო) საჯარო სივრცეში ახალი აქტორი, ჩინეთია შემოსული. ბოლო რამდენიმე წელია, რაც პეკინის შესაძლებლობები ჰიბრიდული საფრთხეების წარმოქმნისა და სტიმულირების მხრივ სტაბილურად იზრდება (Veriter, 2021; Robin, 2023). 2016 წლიდან დღემდე, ევროპის პარლამენტის თითქმის ყველა რელევანტური რეზოლუცია რუსეთს და ჩინეთს საფრთხედ ასახელებს, რაც 2023 წლის ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის „უცხოური საინფორმაციო მანიპულაციისა და საგარეო ჩარევის საფრთხეების შესახებ“ პირველ ანგარიშშიც არაერთხელ დასტურდება (EEAS, 2023). ამის გარდა, ირანი, ევროპის შიდა ულტრამემარჯვენე ჯგუფები და ტერორისტული ორგანიზაციები საინფორმაციო მანიპულაციების მზარდი აქტორები არიან (Solon, 2018; Alba & Satariano, 2019; Dubowitz & Ghasseminejad, 2020; Luxner, 2020; Schneier, 2023).

1.1 რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს დეზინფორმაციას და პროპაგანდას ევროპის პარლამენტის 2024 წლის არჩევნებზე?

როგორც ევროპის საბჭომ დაადასტურა, ევროპის პარლამენტის მორიგი არჩევნები 2024 წლის 6-9 ივნისს ჩატარდება (European Council, 2023). აღნიშნული მოვლენა მსოფლიოში ყველაზე დიდ ტრანსნაციონალურ არჩევნებად ითვლება და ფართო სურათს რომ შევხედოთ, ის ცალსახად მორიგი გადამწყვეტი მომენტი იქნება ევროპის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური დღის წესრიგის ჩამოყალიბებისა და ევროპული დემოკრატიის მომავლისთვის. არჩევნების დაცვა საგარეო აქტორების საინფორმაციო ოპერაციებისა და კიბერშეტევებისგან საარჩევნო უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ნაწილია, აქედან გამომდინარე, ამ მხრივ არაერთი რეალური რისკი არსებობს, რომლებიც შესაძლოა თან სდევდეს როგორც არჩევნების დღეს, ასევე წინასაარჩევნო პერიოდს. საფრთხეები უკავშირდება დეზინფორმაციული თუ პროპაგანდისტული კამპანიების პოტენციურ წარმოებას, რომლებსაც საგარეო აქტორები მათთვის სასურველი არჩევნების შედეგების ჩამოყალიბების მიზნით და საკუთარი სტრატეგიული ინტერესების შესაბამისად იყენებენ. ამ კუთხით, აკადემიური ავტორები და მკვლევრები რამდენიმე რისკს განიხილავენ, რომელიც პოტენციურად თან სდევს ჰიბრიდულ საფრთხეებსა და გარე ჩარევებს არჩევნებისთვის ზიანის მიყენების მიზნით, ესენია: საარჩევნო სისტემისა და დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ ნდობის რღვევა (Wardle & Derakhshan, 2017), ამომრჩეველთა აღქმის დამახინჯება და საარჩევნო გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენა (Guess et al., 2020), სოციალური განხეთქილების შექმნა/გაძლიერება და პოლიტიკური პოლარიზაციის გაღვივება (Lewandowsky et al., 2017; Niu et al., 2020), მედიის მიმართ ნდობის შესუსტება, რაც მოქალაქეებს ურთულებს სანდო და არასანდო ახალი ამბების წყაროების გარჩევას (Pennycook & Rand, 2019), კიბერშეტევები საარჩევნო ინფრასტრუქტურასა და სისტემებზე, რომლის ფარგლებშიც ელექტრონული არჩევნები განსაკუთრებით მოწყვლადია (Jeangène Vilmer et al., 2018). ამასთან ერთად, დღის წესრიგში საფრთხის ახალი ელემენტი, ხელოვნური ინტელექტიც

შემოდის, რომელსაც არაერთ სარგებელთან ერთად დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გავრცელებისა და გაძლიერების პოტენციალიც აქვს (Schneier, 2023). საგულისხმოა, რომ რუსული წყაროების მიერ წარმოებული და/ან გავრცელებული დეზინფორმაცია ევროკავშირში რამდენიმე არჩევნებისა და რეფერენდუმის კონტექსტში არაერთხელ დაფიქსირდა (Jeangène Vilmer et al., 2018; Brattberg & Maurer, 2018; Taylor, 2019), შესაბამისად, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ 2024 წლის ევროპის პარლამენტის არჩევნები ამ მხრივ გამონაკლისი იყოს. სავარაუდოა, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ოფიციალური მოსკოვი და პეკინი მეტად გააძლიერებენ ძალისხმევას ზემოაღნიშნული პოტენციური რისკების რეალურ პრობლემად გარდაქმნის მიზნით.

მიმდინარე წლის განმავლობაში ევროპის პარლამენტმა არაერთხელ გამოთქვა მოსაზრება მაღალი რისკის მქონე ქვეყნების, რუსეთისა და ჩინეთის შესაძლო საინფორმაციო მანიპულაციური საფრთხეების შესახებ და ევროპის კომისიისა და ევროპული საბჭოს მხრიდან ადეკვატური ფინანსებით მხარდაჭერილი, კონკრეტული და კოორდინირებული სტრატეგია მოითხოვა, რომელიც ევროკავშირისა და წევრი ქვეყნების მედეგობას გააძლიერებს გარე ჩარევებისა და ჰიბრიდული საფრთხეების მიმართ (European Parliament, 2023). პარლამენტის ზემოაღნიშნულ მოთხოვნას არაერთი მყარი არგუმენტი აქვს, რომელიც 2019 წლის ევროპის პარლამენტის არჩევნების გამოცდილებიდან გამომდინარეობს. მაგალითისთვის, 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, არჩევნების წინა თვეებში რუსეთთან დაკავშირებული მანიპულაციური ამბების მნიშვნელოვანი ზრდა გამოიკვეთა, რომლებიც პირდაპირ ეხებოდა ევროპის პარლამენტის არჩევნებს (Bayer, 2021). ამის გარდა, ევროპის კომისიის მიერ გამოქვეყნებულ პარლამენტის 2019 წლის არჩევნების ჩატარების ანგარიშში დეზინფორმაცია და სხვა სახის საინფორმაციო მანიპულაციები სერიოზულ გამოწვევად არის დასახელებული (European Commission, 2020). ჯერ-ჯერობით, კომისიას არ დაუკმაყოფილებია ევროპარლამენტარების ზემოაღნიშნული მოთხოვნა და არც „საარჩევნო პაკეტი“ წარუდგენია (რომელიც სანქცირების მექანიზმსაც კი მოიცავდა), როგორც ეს 2018 წლის სექტემბერში გააკეთა ევროპული არჩევნების საინფორმაციო მანიპულაციებისგან დაცვის მიზნით (European Commission, 2018).

თავი 2. ნატოს მიდგომები დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან საბრძოლველად

„პროპაგანდის პასუხი არ არის პროპაგანდა.
პროპაგანდასთან და დეზინფორმაციასთან დასაპირისპირებლად
საუკეთესო საშუალებები სიმართლე და ფაქტებია“.

იენს სტოლტენბერგი
ნატოს გენერალური მდივანი
(NATO, 2020)

როგორც თავდაცვისა და უსაფრთხოების ბლოკი, ნატო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლას წევრი და პარტნიორი ქვეყნების დაცვის კონტექსტში, ლოგიკური თვალსაზრისით, შეუძლებელია ეს სხვანაირად იყოს. ალიანსის უახლესი ოფიციალური დოკუმენტები, „NATO 2030” (NATO, 2021) და „NATO 2022 Strategic Concept“ (NATO, 2022) მიმდინარე დეკადის ფარგლებში ნატოს პრიორიტეტებსა და მიდგომებს განსაზღვრავენ, ხოლო ჰიბრიდული საფრთხეები, მათ შორის დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან ბრძოლის გაძლიერება ალიანსის დღის წესრიგის საკვანძო მიმართულებებია. ამის გარდა, 2023 წელს ვილნიუსის სამიტის კომუნიკე დეზინფორმაციას, როგორც გამოწვევას არაერთხელ ეხმიანება და მის აქტორებთან, რუსეთთან და ჩინეთთან მიმართებაში ღიად ხისტი რიტორიკას აფიქსირებს (NATO, 2023).

ნატო მიიჩნევს, რომ ნებისმიერი ფორმის კრიზისის მართვის ყოვლისმომცველი მიდგომა სამხედრო და სამოქალაქო მექანიზმების ერთობლივ მოქმედებას უნდა მოიცავდეს. აქედან გამომდინარე, დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საპასუხოდ, 2015 წლიდან ალიანსის სტრატეგია სამ ძირითად პრინციპს ეფუძნება: (I) მომზადება, (II) შეკავება, (II) თავდაცვა (Prepare, Deter, Defend) (Colom-Piella, 2022; NATO 2023). მზაობის კონტექსტში ნატო მუდმივად აგროვებს, აზიარებს და აფასებს ინფორმაციას, რათა პოტენციური რისკების პროგნოზირება შეძლოს. ორგანიზაცია ექსპერტიზის ერთგვარ ჰაბს წარმოადგენს, რომელიც ტრენინგისა და სხვა საგანმანათლებლო კომპონენტების გამოყენებით უპირისპირდება ჰიბრიდულ გამოწვევებს (Chłoń, 2022). დეზინფორმაციასთან ბრძოლა ალიანსის ყოველდღიური ოპერაციების განუყოფელი ნაწილია, რომლის ფარგლებშიც ნატო ორ-სვეტოვან მიდგომას იყენებს, (I) გაგება და (II) ჩართულობა (Understand and Engage) (Shalamanov & Bankov, 2022). შესაბამისად, ჰიბრიდულ საფრთხეებთან დაკავშირებული ალიანსის მიდგომები ზემოაღნიშნულ ორგანიზაციულ ლოგიკას ეფუძნება.

შეუძლებელია არ აღინიშნოს ალიანსის საკვანძო მიმართულება, სტრატეგიული კომუნიკაციები. დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან დაპირისპირება ყოველთვის შორს იქნება სრულყოფილებისგან თუ ის მხარდაჭერილი არ იქნება მუდმივი, პროაქტიული კომუნიკაციებითა და ნარატივით. ნატომ ჯერ კიდევ 2009 წელს სტრასბურგის სამიტზე მიიღო სტრატეგიული კომუნიკაციების კონცეფცია.

სამიტის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ სტრატეგიული კომუნიკაციები პოლიტიკური და სამხედრო მიზნების მისაღწევად ალიანსის ძალისხმევის განუყოფელი ნაწილია (NATO, 2009). 2009 წლიდან 2014 წლამდე ეს მიდგომა ძირითადად მხოლოდ პოლიტიკური რიტორიკით შემოიფარგლებოდა, ხოლო 2014 წელს რუსეთის საინფორმაციო თავდასხმებმა ნატოს ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ უბიძგა, რაც „სტრატეგიული კომუნიკაციების დახელოვნების ცენტრის“ ჩამოყალიბებაშიც გამოიხატა (Gonchar & Martyniuk, 2019). დღესდღეობით, ცენტრი ალიანსის ერთ-ერთი ცენტრალური საყრდენია დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ საბრძოლველად (Hansen & Gill, 2021; Dragu, 2022). მისი სამოქმედო ორიენტირი მრავალმხრივი ინტელექტუალური რესურსის შექმნა და გაზიარებაა და ამ მხრივ, გამოცდილ სამხედრო სპეციალისტებს, სამოქალაქო ექსპერტებს, აკადემიური და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს აერთიანებს. საგულისხმოა, რომ ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლისას ნატოს სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი სამოქალაქო ორგანიზაციებისა და არაფორმალური აქტივობების მეშვეობით საზოგადოების მედეგობის გაძლიერებაა (NATO, 2016). ამ მისიის დამატებითი რგოლია ალიანსის საჯარო დიპლომატიის განყოფილება, რომელიც მნიშვნელოვან პოზიტიურ როლს ასრულებს ნატოს საჯარო იმიჯის გაძლიერებაში (NATO, 2022). ამის გარდა, დაზვერვისა და უსაფრთხოების ერთობლივი სამმართველო, რომელიც ნატომ 2017 წელს შექმნა, ჰიბრიდული საფრთხეების მონიტორინგისა და ანალიზის განხორციელების მნიშვნელოვანი ელემენტია. ნატოს დამატებითი დამხმარე მექანიზმია 2018 წლიდან მოქმედი ანტიჰიბრიდული მხარდაჭერის ჯგუფები, რომლებიც საჭიროებისამებრ ტექნიკურ დახმარებას უწევენ ქვეყნებს (Colom-Piella, 2022). აქვე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 2016 წლის სამიტზე ალიანსის წევრებმა ერთხმად განაცხადეს - *„ჰიბრიდული თავდასხმა (რომელშიც მხოლოდ დეზინფორმაცია და პროპაგანდა არ მოიაზრება) ნატოს ქარტიის მე-5 მუხლის გააქტიურების საფუძველი შეიძლება იყოს“* (Zandee & Stoetman, 2023).

დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან გასამკლავებლად ერთობლივი კვლევის გზით ანალიტიკური ინსტრუმენტების და საუკეთესო პრაქტიკის შემუშავება და ცნობიერების ამაღლება რომ ალიანსის პრიორიტეტებია, 2021 წელს, რუმინეთში „მედეგობის ევროატლანტიკური ცენტრის“ ჩამოყალიბებითაც დასტურდება. გარდა იმისა, რომ ორგანიზაციის მანდატი საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას მოიცავს (მათ შორის სპეციალიზებულ კურსებს სფეროს მომავალი ექსპერტებისთვის), ცენტრი სტრატეგიული დისკუსიების პლატფორმას წარმოადგენს და ხელს უწყობს ექსპერტიზის გაზიარებას ბიზნესის, სამოქალაქო და აკადემიურ საზოგადოებებს შორის (Euro-Atlantic Resilience Center, n.d).

სიახლეს არ წარმოადგენს იმის ხაზგასმა, რომ დეზინფორმაციას და პროპაგანდას სწრაფი ქმედებები უნდა დაუპირისპირო. მიუხედავად იმისა, რომ ნატოს ინსტიტუციური წყობა და კომპლექსურობა, გადაწყვეტილების სწრაფად მიღების შესაძლებლობას აფერხებს (Abbott, 2016), ალიანსი ცდილობს არსებული მექანიზმების მოქნილობის, სისწრაფისა და პროდუქტიულობის გაზრდას.

განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ წევრ ქვეყნებს შორის კონსენსუსის სწრაფად მიღწევა, ხშირად, შეუსრულებელი მისიის შესრულებას ჰგავს. ამ მხრივ კი, ნატოს ბიუროკრატიული ბუნება მოწინააღმდეგის სასარგებლოდ მუშაობს.

3. ტრანსატლანტიკური თანამშრომლობა: ნატოსა და ევროკავშირის ერთობლივი ძალისხმევის მიმოხილვა

საერთო სტრატეგიული ინტერესებიდან და უსაფრთხოების გამოწვევებიდან გამომდინარე, ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლა ევროკავშირისა და ნატოს შორის გაძლიერებული თანამშრომლობის ერთ-ერთ ცენტრალურ მექანიზმად ჩამოყალიბდა (European Council, 2016). 2014 წელს, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსირება, მისი თანმდევი დეზინფორმაციული/პროპაგანდისტული ტალღა და რუსეთის მიერ 2016 წლის აშშ-ის არჩევნებში ჩარევა ერთობლივი თანამშრომლობისა და ინდივიდუალური ძალისხმევის გაძლიერების მთავარი სტიმული იყო. ამ კუთხით ხაზი უნდა გაესვას დასავლეთის კოლექტიურ სტრატეგიულ შეცდომას, როდესაც რუსეთის ჰიბრიდულ ომს (და არამარტო) წლების განმავლობაში ხისტ პოლიტიკას არ უპირისპირებდნენ.

2016 წელს ჰიბრიდულ საფრთხეებთან დაპირისპირების შესახებ ევროკავშირის კომუნიკემ (EUR-Lex, 2016) და იმავე წლის ბლოკის გლობალურმა სტრატეგიამ (EEAS, 2016) მრავალჯერ გაუსვა ხაზი ნატოსთან პარტნიორობის გაძლიერების კრიტიკულ საჭიროებას. საგულისხმოა, რომ 2016 წლის ნატოსა და ევროკავშირის პირველ ერთობლივ დეკლარაციაში 74-დან 20 ინიციატივა ჰიბრიდული საფრთხეების კონტრზომებს მოიცავდა (Brethous & Kovalčíková, 2023).

ატლანტის ოკეანის ორივე აქტორი ანალოგიურად აღიქვამს ჰიბრიდულ საფრთხეებსა თუ მის აქტორებს, ამრიგად, ევროკავშირი ნატოს მთავარი პარტნიორია საინფორმაციო სივრცეში არსებულ საფრთხეებთან გამკლავებაში (Szymański, 2020). 2023 წელს ხელმოწერილ დეკლარაციაში ორივე ორგანიზაციამ დაადასტურა, რომ მათ *„ხელშესახებ შედეგებს მიაღწიეს ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლაში“* (NATO, 2023).

ამ მხრივ, ტრანსატლანტიკური თანამშრომლობა ხუთ თემატურ მიმართულებას მოიცავს (I) სტრატეგიული კომუნიკაციები, (II) მედეგობის გაძლიერება, (III) კიბერუსაფრთხოება და თავდაცვა, (IV) კრიზისებზე მზადყოფნისა და რეაგირების გაძლიერება და (V) სიტუაციური ცნობიერების გაზრდა ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების გზით (NATO, 2023). ორგანიზაციულ დონეზე ორივე გაერთიანებას აქვს ამბიციური პოლიტიკური რიტორიკა, რომ თითოეული მიმართულებით იმუშაონ, თუმცა, გამოქვეყნებულ ანგარიშებს რომ გადავხედოთ,

არის კომპონენტები, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლობას დაბალი დინამიკა აქვს (Zandee et al., 2021) და ჯერ კიდევ არის სხვაობა ამბიციებსა და რეალობას შორის. თუმცა, პოზიტიურ ხაზს რომ დავუბრუნდეთ, ორგანიზაციების ერთობლივი მცდელობის ერთ-ერთი ყველაზე კონკრეტული შედეგია 2017 წელს, ფინეთის ინიციატივით ჩამოყალიბებული „ევროპული დახელოვნების ცენტრი ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ“ (European Centre of Excellence for Countering Hybrid Threats), რომელიც ევროკავშირისა და ნატოს 35 წევრ სახელმწიფოს აერთიანებს. ცენტრს ძირითადად კვლევითი და რეკომენდაციების გაზიარების ფუნქცია აქვს და ერთობლივი თანამშრომლობის ერთ-ერთ პლატფორმას წარმოადგენს (Rühle, 2019; Hybrid CoE, 2023). თუმცა, გამოწვევას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ნატოს და ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყანა არ უერთდება ორგანიზაციის საქმიანობას. რეალურად კი, ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი პასუხისმგებლობა უპირველესად სახელმწიფოებს ეკისრებათ და მათი პრეროგატივაა ყოვლისმომცველი და თანმიმდევრული კონტრდეზინფორმაციისა და საკომუნიკაციო ჩარჩოს ჩამოყალიბება, რომელიც შემდგომ ალიანსის მასშტაბით საერთო მიდგომად თუ პოლიტიკად გარდაიქმნება (Chłoń, 2022). უფრო მეტიც, ქვეყნები მეტად მოწყვლადები არიან ზემოაღნიშნული გამოწვევების მიმართ, ვიდრე საერთაშორისო ორგანიზაციები, ვინაიდან დეზინფორმაციისა და პროპაგანდის ავტორები მათ მეთოდებს სამიზნე ქვეყნისა და საზოგადოების ინდივიდუალურ კონტექსტს არგებენ. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ მაგალითზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო დონეზე ზოგიერთი წევრი ქვეყნის პოლიტიკური ნების ნაკლებობა ზღუდავს და აფერხებს თანამშრომლობის ოპტიმიზაციას (Ballast, 2017). ამის გარდა, ზოგიერთი წევრი ქვეყანა (კვიპროსი, უნგრეთი, იტალია, სლოვენია) არ აღიარებს დეზინფორმაციას და პროპაგანდას, როგორც მნიშვნელოვან გამოწვევებს და შესაბამისად, ორგანიზაციულ თუ ეროვნულ დონეზე მათ მიერ ქმედითი ნაბიჯები ნაკლებად იდგმება ან/და კონსენსუსის მიღწევა რთულია (European Values Center for Security Policy, 2018; Pamment, 2020). საგულისხმოა, რომ მათ მიერ ჰიბრიდული საფრთხეების განსხვავებულად აღქმა ეროვნული ისტორიის, სტრატეგიული ინტერესების, განათლებისა და მედიის თავისუფლების ხარისხის, პოლიტიკურ-სამართლებრივი კულტურისა და, რაც მთავარია, რუსეთთან მიმდინარე ურთიერთობის მდგომარეობით იხსნება (Chłoń, 2022). შესაბამისად, საფრთხის განსხვავებული აღქმების გამო, დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ გატარებული ეროვნული მიდგომები საკმაოდ მრავალფეროვანია მთელ ევროპაში და ქვეყნების შერჩეულ ზომებს წარმოდგენილი ორგანიზაციების წევრობა არ ზღუდავს, პირიქით, ნატოსა და ევროკავშირის ზომები ერთგვარ „შემავსებელ“ როლს ითავსებს და ამ მხრივ, გაერთიანებების პოტენციალის სრულად გამოყენება თავად ქვეყნებზეა დამოკიდებული. ამ მხრივ, შეიძლება აღინიშნოს, რომ სახელმწიფოებს ბევრად უფრო სწრაფი და კოორდინირებული მოქმედების შესაძლებლობაც აქვს, ვიდრე საერთაშორისო ორგანიზაციებს, თუმცა, ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლა მხოლოდ ეროვნული ან ადგილობრივი ნაბიჯებით შეუძლებელია - ერთიანობა გადამწყვეტია.

წევრი სახელმწიფოების შიდა აქტორების მიერ დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გამოყენება ორივე ორგანიზაციის მზარდი შეშფოთების

დამატებითი წყაროა. ევროპაში საინფორმაციო მანიპულაციები მხოლოდ გარედან მომდინარე საფრთხეები არ არის; ზოგჯერ ეროვნულ დონეზე, გამავრცელებლები თავად ორგანიზაციების წევრი ქვეყნების (უნგრეთი, პოლონეთი) შიდა ოფიციალური წყაროები ან პოლიტიკური პარტიები არიან (ბულგარეთი) (Bleyer-Simon, 2020).

დამატებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელ მოცემულობაში ჰიბრიდული საფრთხეების „24/7 რეჟიმის" გათვალისწინებით, ორივე ორგანიზაციის ბიუროკრატიული ბუნება მოწინააღმდეგის სასარგებლოდ მუშაობს და ხელს უშლის მათი ინდივიდუალური თუ საერთო მექანიზმების ეფექტიანობას, შესაბამისად, ტრანსატლანტიკური თანამშრომლობა მოსალოდნელზე ნაკლებია. თუმცა, ამის მიუხედავად, იმასაც ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ევროკავშირისა და ნატოს სინერგია დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან ბრძოლის მხრივ, დღესდღეობით, საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლობების ჭრილში ყველაზე ნაყოფიერად შეიძლება შეფასდეს.

თავი 4. მიღებული გაკვეთილები

ნატოსა და ევროკავშირის მიერ დეზინფორმაციისა და პროპაგანდის მზარდი საფრთხეების მიმართ გატარებული ღონისძიებების ანალიზის საფუძველზე რამდენიმე მნიშვნელოვანი გაკვეთილისა და მათ მიდგომებს შორის არსებული განსხვავებისა და მსგავსების გამოკვეთაა შესაძლებელი.

ორივე ორგანიზაციის მკაფიო გადაკვეთის წერტილს, პოლიტიკურ თუ ოპერაციულ დონეზე, სტრატეგიული კომუნიკაციების კომპონენტი წარმოადგენს. თუმცა, ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ნატო უსაფრთხოებისა და მასთან დაკავშირებულ სპექტრს მოიცავს, მაშინ, როდესაც ევროკავშირის მექანიზმების არეალი მეტად მრავალპროფილურია და მასშტაბურია. აღნიშნული ტენდენცია ორგანიზაციების განსხვავებული ბუნებიდან გამომდინარეობს - ნატო სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციაა, ხოლო ევროკავშირი საჯარო ცხოვრების ფართო სფეროების მომცველი და საკანონმდებლო უფლებამოსილების მქონე გაერთიანებაა. ორივე მათგანი ცალსახად იზიარებს კვლევის, ანალიზის, ტრენინგებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის კრიტიკულ აუცილებლობას. გარდა ამისა, მათ მიერ ჩამოყალიბებული სპეციალიზებული ცენტრები/განყოფილებები ცალსახად ეფექტიანი მიდგომის კონტექსტში უნდა განვიხილოთ. აღსანიშნავია, რომ ნატოსგან განსხვავებით, ევროკავშირი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს და რესურსებს დებს არჩევნების დაცვის, მარეგულირებელი და საკანონმდებლო ზომების გატარების, ციფრული მედეგობის გაძლიერების, სანქცირების მექანიზმების, თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიის მხარდაჭერის, მედიაწიგნიერებისა და კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობის, სამოქალაქო და აკადემიური საზოგადოებების გაძლიერების მიმართულებით.

ნატო და ევროკავშირი ღირებულებებზე დაფუძნებული გაერთიანებებია და ჰიბრიდული საფრთხეების პირობებში პოზიტიური დისკურსის მიდგომებს ირჩევენ, შესაბამისად, არცერთი მათგანი არ ებრძვის დეზინფორმაციას დეზინფორმაციით. ორივე მათგანი აღიარებს და ხაზს უსვამს მათი პოლიტიკისა და ინსტრუმენტების მუდმივი ადაპტირების აუცილებლობას საინფორმაციო სივრცეში არსებული საფრთხეების შესაკავებლად. თუმცა, აქვე საგულისხმოა, რომ 2014 წლიდან ჰიბრიდული საფრთხეების მიმართ ორგანიზაციების პოლიტიკა თუ ნაბიჯები ძირითადად რეაქციული ხასიათისაა, ვიდრე პროაქტიული.

ბოლო წლების განმავლობაში, ნატოსა და ევროკავშირის სინერგია, როგორც სამხედრო და სამოქალაქო რესურსების გაერთიანების პოზიტიური ტენდენცია შეინიშნება. მიუხედავად ამისა, ცალკეული წევრი სახელმწიფოების განსხვავებული პოლიტიკური პრეფერენციები და ორგანიზაციული ბიუროკრატია თანამშრომლობას მნიშვნელოვნად აფერხებს. ამას ისიც ემატება, რომ ალიანსისა და ბლოკის ფინანსური და ადამიანური რესურსის მობილიზება ჰიბრიდული საფრთხეებთან ბრძოლის კუთხით არასაკმარისია. თუმცაღა უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მათგანი ეტაპობრივად ზრდის საკუთარ დანახარჯებს, ვინაიდან დეზინფორმაციისა და პროპაგანდის მიერ გამოწვეული ზიანის გამოსწორება მეტად ძვირია, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საერთაშორისო სისტემაში სტრატეგიული რევიზიონიზმის ზრდა და ჰიბრიდული ომის მწვავე, სახიფათო ფაზაში შესვლა გარდაუვალი ხდება. ამის გარდა, ისტორია და გამოცდილება მკაფიო ინსტრუქციას და მარტივ დასკვნას იძლევა - არცერთი ქვეყანა თუ ორგანიზაცია არ არის სრულად იმუნური ჰიბრიდული საფრთხეების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ცალკეულმა ქვეყნებმა ინდივიდუალურ ზომებს მიმართეს დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ, დამოუკიდებლად არც ერთ აქტორს ან მიდგომას არ შეუძლია საფრთხეების განეიტრალება. ამისათვის ერთობლივი მუშაობის აუცილებლობა იკვეთება, რომელიც მხოლოდ გააორმაგებს დასავლური ძალების ძალისხმევას არადემოკრატიული აქტორების დესტაბილიზაციური ქმედებების მიმართ.

დღესდღეობით კი, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი და ნატო წამყვან როლს თამაშობენ ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლაში, ჯერ კიდევ არსებობს დიდი სივრცე ტრანსატლანტიკური თანამშრომლობისა თუ ინდივიდუალური ძალისხმევის გაუმჯობესებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

Abbott, Katie. Understanding and Countering Hybrid Warfare: Next Steps for the North Atlantic Treaty Organization. 2016. *University of Ottawa.* ხელმისაწვდომია: https://ruor.uottawa.ca/handle/10393/34813?mode=full.

Alba, D., & Satariano, A. At Least 70 Countries Have Had Disinformation Campaigns, Study Finds. *The New York Times.* 2019. ხელმისაწვდომია: https://www.nytimes.com/2019/09/26/technology/government-disinformation-cyber-troops.html.

Ballast, Jan. Trust (in) NATO – The future of Intelligence Sharing Within the Alliance. 2017. ხელმისაწვდომია: https://css.ethz.ch/en/services/digital-library/articles/article.html/aaa972b2-8bdb-4a4b-a011-86612394f76b.

Bayer, Judit. Disinformation and Propaganda: Impact on the Functioning of the Rule of Law and Democratic Processes in the EU and its Member States. 2021. ხელმისაწვდომია: https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2021/653633/EXPO_STU(2021)653633_EN.pdf.

Bleyer-Simon, K., Brogi, E., Nenadić, I., & Nesovic, T. Report on Main Trends and Legal Developments at National Level on Disinformation and National Policies During the Electoral Campaigns. 2020. *European Digital Media Observatory.* ხელმისაწვდომია: https://edmo.eu/wp-content/uploads/2022/07/Policies-to-tackle-disinformation-in-EU-member-states---Part-II.pdf.

Bogden, George. The Case for the EU's Defense of Democracy Package. *The Hill.* 2023. ხელმისაწვდომია: https://thehill.com/opinion/international/4030398-the-case-for-the-eus-defense-of-democracy-package/.

Brattberg, E., & Maurer, T. Russian Election Interference - Europe's Counter to Fake News and Cyber Attacks. *Carnegie Endowment for International Peace.* 2018. ხელმისაწვდომია: https://carnegieendowment.org/files/CP_333_BrattbergMaurer_Russia_Elections_Interference_FINAL.pdf.

Brethous, M. & Nkovalčíková, N. Bolstering EU-NATO Cooperation to Counter Hybrid Threats in the Western Balkans. *The EU Institute for Security Studies.* 2023. ხელმისაწვდომია: https://www.iss.europa.eu/sites/default/files/EUISSFiles/Brief_2_Western%20Balkans.pdf.

Chłoń, Tomasz. NATO and Countering Disinformation - The Need for a More Proactive Approach from the Member States. 2022. GLOBSEC. ხელმისაწვდომია: https://euagenda.eu/upload/publications/nato-and-countering-disinformation-ver1-spreads.pdf.

Colom-Piella, Guillem. NATO's Strategies for Responding to Hybrid Conflicts. 2022. ხელმისაწვდომია: https://www.cidob.org/en/articulos/cidob_report/n_8/nato_s_strategies_for_responding_to_hybrid_conflicts.

Colomina, Carme. Real and Virtual Threats: Europe's Vulnerability to Disinformation. *Barcelona Centre for International Affairs.* 2019. ხელმისაწვდომია: https://www.cidob.org/en/publications/publication_series/opinion/europa/real_and_virtual_threats_europe_s_vulnerability_to_disinformation.

Dragu, Nicoleta-Cristiana. The Challenge of Russian Disinformation: NATO and the StratCom Solution Introduction. 2022. ხელმისაწვდომია: https://resilienceforum.e-arc.ro/wp-content/uploads/2022/11/3.-DRAGU-NICOLETA-CRISTIANA.-ESEU.pdf.

Dubowitz, M., & Ghasseminejad, S. Iran's COVID-19 Disinformation Campaign. *Combating Terrorism Center.* Volume 13, Issue 6, 2020. ხელმისაწვდომია: https://ctc.westpoint.edu/irans-covid-19-disinformation-campaign//

EEAS. 2023. 1st EEAS Report on Foreign Information Manipulation and Interference Threats. ხელმისაწვდომია: https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/documents/2023/EEAS-DataTeam-ThreatReport-2023..pdf.

EEAS. Action Plan Against Disinformation. 2018. ხელმისაწვდომია: https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/action_plan_against_disinformation.pdf.

EEAS. Action Plan on Strategic Communication. 2015. ხელმისაწვდომია: https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/action_plan_on_strategic_communication.docx_eeas_web.pdf.

EEAS. EU Global Strategy. 2016. ხელმისაწვდომია: https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/eugs_review_web_0.pdf.
EU Monitor. 2021. Parliament Sets Out its Vision for a New EU Strategy on China. ხელმისაწვდომია: https://www.eumonitor.eu/9353000/1/j9vvik7m1c3gyxp/vlmaadgj3bym?ctx=vhsjhdfktnpb.

EUR-Lex. European Democracy Action Plan. 2020. ხელმისაწვდომია: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=COM%3A2020%3A790%3AFIN&qid=1607079662423.

EUR-Lex. Joint Framework on Countering Hybrid Threats a European Union Response. 2016. ხელმისაწვდომია: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52016JC0018.

Euro-Atlantic Resilience Center. Mission Statement. n.d. ხელმისაწვდომია: https://e-arc.ro/en/about-e-arc/mission-statement/.

European Commission. Code of Practice on Disinformation. 2018. ხელმისაწვდომია: https://digital-strategy.ec.europa.eu/en/library/2018-code-practice-disinformation.

European Commission. Commission Reports on 2019 European Elections: Fostering European Debates and Securing Free and Fair Elections. 2020. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_20_1123.

European Commission. Opening speech of Vice-President Věra Jourová at the conference "Disinfo Horizon: Responding to Future Threats". 2020. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/it/SPEECH_20_160.

European Commission. State of the Union 2018: European Commission Proposes Measures for Securing Free and Fair European Elections. 2018. ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/IP_18_5681.

European Council. Council Confirms 6 to 9 June 2024 as Dates for Next European Parliament Elections. 2023. ხელმისაწვდომია: https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2023/05/22/council-confirms-6-to-9-june-2024-as-dates-for-next-european-parliament-elections/.

European Council. EU Imposes Sanctions on State-owned Outlets RT/Russia Today and Sputnik's Broadcasting in the EU. 2022. ხელმისაწვდომია: https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2022/03/02/eu-imposes-sanctions-on-state-owned-outlets-rt-russia-today-and-sputnik-s-broadcasting-in-the-eu/.

European Council. EU-NATO Joint Declaration. 2016. ხელმისაწვდომია: https://www.consilium.europa.eu/media/21481/nato-eu-declaration-8-july-en-final.pdf.

European Council. European Council Meeting (19 and 20 March 2015) – Conclusions. 2015. ხელმისაწვდომია: https://www.consilium.europa.eu/media/21888/european-council-conclusions-19-20-march-2015-en.pdf.

European Court of Auditors. Audit Preview - EU Action Plan Against Disinformation. 2020. ხელმისაწვდომია: https://www.eca.europa.eu/lists/ecadocuments/ap20_04/ap_disinformation_en.pdf.

European Parliament. Foreign Interference: MEPs Call for Urgent Protection of 2024 European Elections. 2023. ხელმისაწვდომია: https://www.europarl.europa.eu/news/en/press-room/20230524IPR91908/foreign-interference-meps-call-for-urgent-protection-of-2024-european-elections.

European Values Center for Security Policy. 2018 Ranking of Countermeasures by the EU to the Kremlin's Subversion Operations. 2018. ხელმისაწვდომია: https://europeanvalues.cz/wp-content/uploads/2020/09/2018-ranking-of-countermeasures-by-the-eu28-to-the-kremlin-s-subversion-operations.pdf.

Gonchar, M., & Martyniuk, V. EU-NATO Cooperation with Ukraine in Countering Information Threats. *Journal of Information Systems & Operations Management.* Vol. 13. No. 2. 2019. ხელმისაწვდომია: https://web.rau.ro/websites/jisom/Vol.13%20No.2%20-%202019/JISOM-WI19-A05.pdf.

Guess, A., Nyhan, B. and Reifler, J. Selective Exposure to Misinformation: Evidence from the Consumption of Fake News during the 2016 U.S. Presidential Campaign. Working Paper, *European Research Council. 2018.* ხელმისაწვდომია: *https://www.scirp.org/(S(351jmbntv-nsjt1aadkposzje))/reference/referencespapers.aspx?referenceid=3326260.*

Hansen, P., & Gill, M. Strategic Communications. In Strategic Communications Hybrid Threats Toolkit. Applying the principles of NATO Strategic Communications to Understand and Counter Grey Zone Threats. 2021. ხელმისაწვდომია: https://stratcomcoe.org/publications/strategic-communications-hybrid-threats-toolkit/213.

Jeangène Vilmer, J. B., Escorcia, A., Guillaume, M., & Herrera, J. Information Manipulation - A Challenge for Our Democracies. *The Institute for Strategic Research.* 2018. ხელმისაწვდომია: https://www.diplomatie.gouv.fr/IMG/pdf/information_manipulation_rvb_cle838736.pdf.

Kert-Saint Aubyn, Mari. EU Policy on Fighting Hybrid Threats. *The NATO Cooperative Cyber Defence Centre of Excellence.* n.d. ხელმისაწვდომია: https://ccdcoe.org/incyder-articles/eu-policy-on-fighting-hybrid-threats/.

Lewandowsky, S., Ecker, U. K. H., & Cook, J. Beyond Misinformation: Understanding and Coping with the 'Post-Truth' Era. 2017. ხელმისაწვდომია: https://www.researchgate.net/publication/318699348_Beyond_Misinformation_Understanding_and_Coping_with_the_Post-Truth_Era.

Luxner, Larry. Experts Dissect Iran Regime's Disinformation Campaign as COVID-19 Worsens. *Atlantic Council.* 2020. ხელმისაწვდომია: https://www.atlanticcouncil.org/blogs/new-atlanticist/experts-dissect-iran-regimes-disinformation-campaign-as-covid-19-worsens/.

NATO Library. NATO 2030. 2021. ხელმისაწვდომია: https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2021/6/pdf/2106-factsheet-nato2030-en.pdf.

NATO. Communications and Public Diplomacy. 2022. ხელმისაწვდომია: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_69275.htm#:~:text=The%20Public%20Diplomacy%20Division%20at,accordance%20with%20agreed%20NATO%20policies.

NATO. Countering Hybrid Threats. 2023. ხელმისაწვდომია: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_156338.htm?selectedLocale=en.

NATO. Joint Declaration on EU-NATO Cooperation. 2023. ხელმისაწვდომია: https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_210549.htm.

NATO. NATO Strategic Concept. 2022. ხელმისაწვდომია: https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/2022/6/pdf/290622-strategic-concept.pdf.

NATO. Remarks by NATO Secretary General Jens Stoltenberg on Launching #NATO2030 - Strengthening the Alliance in an Increasingly Competitive World. 2020. ხელმისაწვდომია: https://www.nato.int/cps/fr/natohq/opinions_176197.htm.

NATO. Strasbourg / Kehl Summit Declaration. 2009. ხელმისაწვდომია: https://www.nato.int/cps/en/natohq/news_52837.htm.

NATO. Vilnius Summit Communiqué. 2023. ხელმისაწვდომია: https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_217320.htm.

NATO. Warsaw Summit Communiqué. 2016. ხელმისაწვდომია: https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_133169.htm.

New Eastern Europe. 2023. We See You, Russia, and We Know How to Counter Your Practices. ხელმისაწვდომია: https://neweasterneurope.eu/2023/05/24/we-see-you-russia-and-we-know-how-to-counter-your-practices/.

Niu, I., Bracken, K., & Eaton, A. Russia Created an Election Disinformation Playbook. Here's How Americans Evolved It. *The New York Times.* 2020. ხელმისაწვდომია: https://www.nytimes.com/2020/10/25/video/russia-us-election-disinformation.html.

Pammen, James. The EU's Role in Fighting Disinformation: Taking Back the Initiative. *Carnegie Endowment for International Peace.* 2020. ხელმისაწვდომია: https://carnegieendowment.org/2020/07/15/eu-s-role-in-fighting-disinformation-taking-back-initiative-pub-82286.

Parkes, Roderick. The EU's Response to Hybrid Threats. *European Union Institute for Security Studies (EUISS).* 2019. ხელმისაწვდომია: https://www.jstor.org/stable/pdf/resrep21143.4.pdf.

Pennycook, G., & Rand, D. G. Fighting Misinformation on Social Media Using Crowdsourced Judgments of News Source Quality. 2019. ხელმისაწვდომია: https://www.researchgate.net/publication/330710636_Fighting_misinformation_on_social_media_using_crowdsourced_judgments_of_news_source_quality.

Robin, Marie. European Policies in the Fight to Counter Propaganda. *Robert Schuman Research and Studies Center on Europe.* 2023. ხელმისაწვდომია: https://www.robert-schuman.eu/en/european-issues/0665-european-policies-in-the-fight-to-counter-propaganda.

Rühle, Michael. NATO's Response to Hybrid Threats. 2019. ხელმისაწვდომია: https://www.realcleardefense.com/articles/2019/11/05/natos_response_to_hybrid_threats_114832.html.

Sanchez, Linda. Bolstering the Democratic Resilience of the Alliance Against Disinformation and Propaganda. 2021. ხელმისაწვდომია: https://www.nato-pa.int/download-file?filename=/sites/default/files/2021-09/013%20CDS%2021%20E%20rev.%201%20-%20DEMOCRATIC%20RESILIENCE%20-%20SANCHEZ_3.pdf.

Schneier, Bruce. AI Disinformation is a Threat to Elections – Learning to Spot Russian, Chinese and Iranian Meddling in Other Countries Can Help the US Prepare for 2024. *The Conversation.* 2023. ხელმისაწვდომია: https://theconversation.com/ai-disinformation-is-a-threat-to-elections-learning-to-spot-russian-chinese-and-iranian-meddling-in-other-countries-can-help-the-us-prepare-for-2024-214358.

Serrato, R., & Wallis, J. Covid-19 Disinformation and Social Media Manipulation: Covid-19 and the Reach of Pro-Kremlin Messaging. 2020. *Homeland Security Digital Library.* ხელმისაწვდომია: https://www.hsaj.org/articles/16533.

Shalamanov V., & Bankov, B. NATO Cyber Policy and Hybrid Threats: The Way to Enhance Our Resilience. In Building Cyber Resilience Against Hybrid Threats. 2022. ხელმისაწვდომია: https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=5pGREAAAQBAJ&oi=fnd&pg=PA19&dq=disinformation+and+propaganda+eu+and+nato&ots=UtG29jF8i4&sig=N4Nq9URoD9OhNDm1KKfmr2yPugM&redir_esc=y#v=onepage&q=disinformation%20and%20propaganda%20eu%20and%20nato&f=false.

Solon, Olivia. Facebook Removes 652 Fake Accounts and Pages Meant to Influence World Politics. *The Guardian.* 2018. ხელმისაწვდომია: https://www.theguardian.com/technology/2018/aug/21/facebook-pages-accounts-removed-russia-iran.

Stolton, Samuel. EU Rapid Alert System Used Amid Coronavirus Disinformation Campaign. *EURACTIV.* 2020. ხელმისაწვდომია: https://www.euractiv.com/section/digital/news/eu-alert-triggered-after-coronavirus-disinformation-campaign/.

Szymański, Piotr. Towards Greater Resilience: NATO and the EU on Hybrid Threats. *Centre for Eastern Studies.* 2020. ხელმისაწვდომია: http://aei.pitt.edu/103308/1/Commentary_328.pdf.

Taylor, Margaret L. Combating Disinformation and Foreign Interference in Democracies: Lessons from Europe. *Brookings.* 2019. ხელმისაწვდომია: https://www.brookings.edu/articles/combating-disinformation-and-foreign-interference-in-democracies-lessons-from-europe/.

The European Centre of Excellence for Countering Hybrid Threats (Hybrid CoE). 2023. ხელმისაწვდომია: https://www.hybridcoe.fi/who-what-and-how/.

Veriter, Sophie. European Democracy and Counter-Disinformation: Toward a New Paradigm? *Carnegie Endowment for International Peace.* 2021. ხელმისაწვდომია: https://carnegieeurope.eu/2021/12/14/european-democracy-and-counter-disinformation-toward-new-paradigm-pub-85931.

Wardle, C., & Derakhshan, H. Information Disorder: Toward an Interdisciplinary Framework for Research and Policy Making. 2017. ხელმისაწვდომია: https://edoc.coe.int/en/media/7495-information-disorder-toward-an-interdisciplinary-framework-for-research-and-policy-making.html.

Wiseman, Jason. EU-NATO Hybrid Warfare. In Building Cyber Resilience Against Hybrid Threats. 2022. ხელმისაწვდომია: https://books.google.ge/books?hl=en&lr=&id=5pGREAAAQBAJ&oi=fnd&pg=PA19&dq=disinformation+and+propaganda+eu+and+nato&ots=UtG29jF8i4&sig=N4Nq9URoD9OhNDm1KKfmr2yPugM&redir_esc=y#v=onepage&q=disinformation%20and%20propaganda%20eu%20and%20nato&f=false.

Zandee, D., & Stoetman, A. Countering Hybrid Threats - The Role of the Joint Expeditionary Force. *Netherlands Institute of International Relations 'Clingendael'.* 2023. ხელმისაწვდომია: https://www.clingendael.org/sites/default/files/2023-03/countering-hybrid-threats.pdf.